



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1362 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის  
საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის  
25 თებერვლის №303 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №303 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: ცაიშის, რიყეს, აბასთუმნისა და ხეცერას გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;“;

„თ) დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადიჯვრის და ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების: ქართლის, ბუჩაანთკარის, ვაშლობის, ზენუბნის, მენესოს, მუგუდას, დოლასქედის, საქერეს, სონდას, ჩიტაურების, ჭალისოფლის, ხამუშასა და ჯუღისის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო სამუშაოების შესრულება, ასევე

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხისძირის გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი